ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №44-58

2019 წლის 23 ივლისი

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის №42-40 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 29/05/2019, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016600) შევიდეს შემდეგი ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტით მე-3 მუხლს დამატებული 3^2 და 3^3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3^2. ფიზიკურ პირს, რომელსაც მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად საკუთრებაში აქვს უძრავი ქონება უფლება აქვს ამ უძრავი ქონებიდან 100 მეტრის რადიუსში არსებულ ზონალურ პარკირების ადგილზე, იმ დროს როდესაც ზონალურ პარკირების ადგილზე პარკირება ფასიანია, ისარგებლოს უფასო პარკირებით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) თითოეული მიწის ნაკვეთის საკუთრებისას - მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე (თანასაკუთრების შემთხვევაში, ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობს თითოეული მესაკუთრე);

ბ) თითოეული შენობა-ნაგებობის საკუთრებისას - მის მიერვე წინასწარ განსაზღვრულ ორ სატრანსპორტო საშუალებაზე.

3^3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის 3^2 პუნქტში აღნიშნული ფიზიკური პირი აღარ იქნება იმავე პუნქტით განსაზღვრული უძრავი ქონების მესაკუთრე, რომლის საფუძველზეც გაიცა უფასო პარკირებით სარგებლობის უფლება, ეს უფლება უქმდება ინფორმაციის მიღებისთანავე.“;

ბ) „ზ“ ქვეპუნქტით მე-8 მუხლს დამატებული მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ფიზიკური პირი, ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის მიზნით, რეგისტრაციას გადის ელექტრონული მისამართის: www.parking.tbilisi.gov.ge მეშვეობით.

6. ფიზიკური პირი, ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტით გათვალისწინებული შეღავათით სარგებლობის შემთხვევაში, ამ შეღავათით სხვა სატრანსპორტო საშუალებაზე სარგებლობის მიზნით, უფლებამოსილია ჩაანაცვლოს მის მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება სხვა სატრანსპორტო საშუალებით ამ მუხლის შესაბამისად.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის